ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N 3

2022 წლის 25 თებერვალი, 15:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი - სხდომის (საბჭოს) **თავმჯდომარე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ვარდოსანიძე - საბჭოს **თავმჯდომარის მოადგილე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

მაია გეგია - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე;

ანა კაკაბაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

მარიამ ზაქარიაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ;

ელენე დუმბაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

ვლადიმერ ბოჟაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ვახტანგ სურგულაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

თათია ჩახვაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

ელეონორა კაპანაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე;

მამუკა ბალიაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს უფროსი;

ნინელი ფუტკარაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი;

ნინო ბურძენიძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში;

ნინო ჩიმაკაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

- მ პ გ „ხალხისთვის" წარმომადგენელი **ნინო წულაძე;**
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის დღის წესრიგი:

1. გენდერული თანასწორობის ფარგლებში თბილისის მერიაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

საბჭოს სხდომა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** მისასალმებელი სიტყვით გახსნა. დამსწრე საზოგადოებას სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი გააცნო და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

საბჭოს წევრების წინაშე ანგარიშით დედაქალაქის მერის მრჩეველი გენდერულ საკითხებში, **ნინო ბურძენიძე** წარდგა და შეკრებილ საზოგადოებას გენდერული თანასწორობის ფარგლებში თბილისის მერიაში განხორციელებული ღონისძიებები გააცნო. მანვე ისაუბრა კანონზე „გენდერული თანასწორობის შესახებ" და ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტია მიმოიხილა.

ნინო ბურძენიძე პრეზენტაციისას ასევე შეეხო იმ პროექტებს, რომლებსაც დედაქალაქის მერიის სხვადასხვა სამსახურები საკრებულოსთან ერთად ახორციელებენ და მიმოიხილა ის საინფორმაციო ტრენინგები, რომლებიც გენდერული თანასწორობის საკითხებზე თბილისის მერიის გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის და საკრებულოს წევრებისთვის ტარდება. ანგარიშში ყურადღება გენდერული ბიუჯეტისა და მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების მიმოხილვას დაეთმო.

სხდომის დასკვნითი ნაწილი დისკუსიის ფორმატში წარიმართა. საბჭოს წევრები ღონისძიებების აქტიურ რეჟიმში დაგეგმვასა და განხორციელებაზე შეთანხმდნენ.

სხდომის დასასრულს, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას აქტიური თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თინათინ ნიბლოშვილი

სხდომის მდივანი: გურამ ოქროპირიძე